სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლა

პრაქტიკული კვლევა

პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლაში

პედაგოგი : ნანა კახაძე

2018- 2019წ.

განაცხადი:

აღნიშნული პედაგოგიური კვლევა წარმოადგენს ჩემს მიერ შექმნილ ნაშრომს, რომელიც ეფუძნება ჩემს ემპირიულ პროფესიულ გამოცდილებისა და დაკვირვებას . პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას. ნაშრომში გამოყენებულია სხვა ავტორთა მასალები სათანადო წესის დაცვითა და მითითებით . ამ მასალიდან მოხდა ინფორმაციის ამოღება ციტირებით, რომლის ბოლოშიც მითითებულია ავტორის ვინაობა და გამოქვეყნების დრო.

სარჩევი

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა_____გვ. 4

1.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი_____გვ. 5

1.2 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები:_____გვ. 6

1.3 კვლევის მიზანი_____გვ. 5

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი_____გვ. 6

თავიIII

ლიტერატურის მიმოხილვა_____გვ. 7

3.1 სკოლაში ადაპტაცია- სამკუთხა პროცესი _____გვ.8

3.2. „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასების მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი)“ _____გვ. 8

3.3 ინტერნეტ ჟურნალი - "მასწავლებელი" _____გვ.9

თავი IV

მეთოდოლოგია_____გვ. 10

4.1 კვლევის გეგმა----------11

თავი V

კვლევის შედეგები_____გვ. 11

5.1 გამოკითხვის შედეგების ანალიზი (მასწავლებლები)_____გვ. 12

5.2 გამოკითხვის შედეგების ანალიზი(მშობელები)_____გვ.16

5.3. კითხვის შედეგების ანალიზი (მოსწავლეები)_____გვ.19

5.4 ფოკუს ჯგუფი ----------19

5.5 გამოკითხვის ტენდენციები და პირველადი შედეგები----------19

თავი VI

ინტერვენციის შეფასება_____გვ. 19

6.1.დაგეგმილი ინტერვენციები_____გვ. 20

6.2. ინტერვეციების ანალიზი_____გვ. 20

თავი VII

მიგნებები, , განხორციელებული ცვლილებები, რეკომენდაციები, თვითკრიტიკა და რისკფაქტორები_____გვ. 22

7.1. თვითკრიტიკა და რისკფაქტორები_____გვ. 23

ბიბლიოგრაფია_____ გვ23

დანართი_____ 24

რეფლექსია----------26

შესავალი :

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სსიპ ქ. თბილისის N172 საჯარო სკოლაში განხორციელებულ კვლევის ანგარიშს. კვლევა განახორციელა ამავე სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგმა ნანა კახაძემ. სამიზნე ჯგუფს კი წარმოადგენს I^{ბ}

კლასი, სადაც ირიცხება 26 მოსწავლე.კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წლის I და II სემესტრში.

სწავლების დაწყება და სკოლის კედლებში შემობიჯება ყველა ბავშვის ცხოვრებაში ახალი ეტაპია. ეტაპი რომელმაც ისინი საზოგოდოებრივი ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს და პიროვნებებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. ვფიქრობ,აუცილებელია ბავშვისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლა მტკივნეული არ იყოს. მოსწავლე უნდა დარწმუნდეს, რომ ის, როგორც პიროვნებაც აინტერესებთ და მისგან მხოლოდ სწავლას არ ითხოვენ. წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელშიც გამოკვეთილია ის ძირითადი საკითხები, რომელიც შეეხება პირველკლასელების ადაპტაციას სკოლაში და ამ პროცესის გამარტივების და გაუმჯობესების მეთოდებს.

2018-2019 სასწავლო წელს ჩემს მოსწავლეებს პირველ კლასელები წარმოადგენდნენ , სწორედ ამიტომ გადავიწყვიტე უფრო სიღრმისეულად ჩავძიებოდი ამ საკითხს და პრაქტკულ კვლევად მექცია. ნაშრომში განხილულია სკოლაში ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

კვლევის პროცესში გავეცანი პედაგოგების, ფსიქოლოგების, განათლების ექპერტებისა და სხვა კომპეტენტური პირების მოსაზრებებს. რა თქმა უნდა, მყისირად შევისწავლე მოსწავლეებისა და მშობლების დამოკიდებულება.

თავი I

პრობლემა და საკვლევი საკითხი

ვფიქრობ სასკოლო ცხვორების პირველი წლები განსაკუთრებით მნიშნველოვანია მოსწავლეების ჩამოყალიბების და განვითარების გზაზე. ხშირ შემთხვევაში პირველ წლებში მიღებული ემოციები ქვეცნობიერის დონეზე ილექება და განაპირობებს ბავშვის ქცევის ბევრ ასპექტს 12 წლის განმავლობაში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული საკითხის გამოკვლევა. ამასთანავე ვთვლი, რომ სწავლის პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე. ზოგიერთი ბავშვისთვის სკოლაში წასვლა და სკოლის პირველი დღეები სტრესთანაა დაკავშირებული. ბავშვს ახალ გარემოსთან უწევს ადაპტირება, რაც ბევრისთვის არ

არის მარტივი. გადავწყვიტე გამომეკვლია სკოლაში ადაპტიცასთან დაკავშირებული პროპლემური ტენდენციები, ადაპტაციის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების გზები , რა თქმა უნდა , მშობლების ჩართულობით.

კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები:

როგორ გავუადვილოთ მოსწავლეს სკოლასთან შეგუების პროცესი?

ამ საკითხის შესწავლის მნიშვნელობის დასადგენად კონსულტაცია გავიარე სკოლის ფსიქოლოგთან. ასევე გავესაუბრე კოლეგა მასწავლებლებს. აქტიურად ვეკონაქტებოდი მოსწავლეების მშობლებს . გავეცანი საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების, ფსიქოლოგების, პედაგოგების ნაშრომებსა და მოსაზრებებს.

კვლევის მიზანი :

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმაოდგენს პირველკლასელთა სკოლაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გამოვლენასა და ამ პროცესის გაჯანსაღება.

თავი II

კვლევის არსი

მოცემული კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ, გამომეკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომელიც აფერხებს პირველკლასელი მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციას და განმეხილა ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს. კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გამოკვეთა შემაფერხებელი ფაქტორები . ასევე დაგვანახა პრობლემის გამომწვევი მიზეზის გამოკვეთის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს . მე ვცადე, შემეკრა პედაგოგის, მოსწავლეების და მშობლების ურთიერთანამშრომლობისა და თანასწორობის ჯაჭვი. პრობლემატიკის კვლევის პროცესში ჩაერთნენ ჩემი კოლეგა პედაგოგები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ . გარემოს ვქმნით ჩვენ.

თავიIII

ლიტერატურის მიმოხილვა :

პირველკლასელთა სკოლაში ადაპტაციის პროცესი ფართო განხილვის საგანია . ამ თემის გარშემო მუდმივად პოლემიკა და დისკუსიაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შემესწავლა, როგორც ქართული რეალობა, ასევე გავცნობოდო უცხოურ კვლევებსაც.

3.1

აღსანიშნავია ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერების ბარბარა მ. ბრიზუალასა და მარტა ჯულია გარსიას (Barbara M. Brizuela / Martha Julia García-Sellers) კვლევა სახელწოდებით : სკოლაში ადაპტაცია- სამკუთხა პროცესი (School Adaptation: A Triangular Process) . ნაშრომის მიხედვით პედაგოგი, მშობელი და ბავშვი – ეს ერთი მთლიანი ჯაჭვია. მათ ერთმანეთთან აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ. პედაგოგის ვალია, გაიგოს თითოეული მოსწავლის ხასიათი, ინტერესი, უნარი, ყოველდღიური განწყობა. მას მხოლოდ მთლიან კლასზე არ უნდა ჰქონდეს ყურადღება გადატანილი. ეს რთული, მაგრამ აუცილებელია. ბავშვისთვის ე.წ. დიდობაში ფეხის შედგმის პროცესი უმტკივნეულო უნდა იყოს. ნებისმიერი ბავშვი პედაგოგთან მუშაობის შედეგად შეძლებს გახსნასა და თავისი უნარების გამოვლენას. ის გამუდმებით უნდა გრძნობდეს სიყვარულს, კეთილგანწყობასა და თვითგანცდას.მშობლებისა და პედაგოგებისგან ზედმეტი მზრუნველობა ბავშვისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. მაგ.: მოხდეს გონებრივი გაზარმაცება. სასკოლო ასაკის ბავშვი უნდა მიეჩვიოს გარკვეულ დამოუკიდებლობას. მან უნდა შეძლოს პირადი ჰიგიენის დაცვა, ჩაცმა, გაკვეთილის მომზადება, ჩანთის ტარება და იმის გათვალისწინებაც, რომ სკოლაში არ უნდა დააგვიანოს. ამისათვის, ჯობს, კლასში ინდივიდუალურად გარკვეული და ბავშვებთან შეთანხმებული იქნას დისციპლინის წესები. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს გასაგებ ენაზე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. ავუხსნათ ბავშვს, რომ მასწავლებელს უნდა მოუსმინოს ყურადღებით არა იმიტომ, რომ ეს მხოლოდ პედაგოგს სურს, არამედ მისთვისაა საჭირო, რომ გახდეს წარმატებული. აღნიშნული კლევის თეორიული ასპექტი ძალზედ დამეხმარა ინტერვენციების დაგეგმავში და ჩემი პედაგოგიური ეთიკის განმტკიცებასა და განსაზღვრაში.

3.2

სახელმძღვანელოში „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასების მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი)“ მოცემულია ის დებულები, რომელიც უკავშირდება სკოლისა და სწავლის დაწყების სინდრომებს. სკოლაში შესვლასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება ბავშვის ცხოვრება. მის უდარდელ ცხოვრებას საქმიანი, ვალდებულებებით აღსავსე დღეები ენაცვლება და ბავშვს ახალი სოციალური სტატუსი - მოსწავლის სტატუსი ენიჭება. ამიტომ მნიშვნელოვანია პირველკლასელის დახმარება ახალ საქმიან გარემოსთან შეგუებაში, ელემენტარული სასწავლო ჩვევების დაუფლებაში, თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარის განვითარებაში. პედაგოგებმა კარგად იციან, რომ პირველკლასელები მალე კარგავენ „პირველი სექტემბრის“ ეიფორიას. გაკვეთილებზე მალე იღლებიან, უჩივიან სირთულესა და დაღლილობას. ერთი სული აქვთ, ზარი დაირეკოს, რათა დაუბრუნდნენ „თავისუფალი“ თამაშის სიტუაციას. ამიტომ, სწავლის დაწყების პირველივე დღეებში საჭიროა მოსწავლეთა გამხნევება, დახმარება სასწავლო პროცესში წამოჭრილი სირთულეების გადალახვაში, ზრუნვა იმაზე, რომ სასწავლო პროცესი ნაკლებად დამღლელი აღმოჩნდეს. აუცილებელია გაკვეთილის პროცესში მარტივი ფიზიკური ვარჯიშების შესრულება. პირველკლასელისთვის სწავლაში წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია და, ამიტომ, ისინი ძლიერ განიცდიან წარუმატებლობას. აუცილებელია მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მოსწავლე იგრძნობს საკუთარ მნიშვნელობასა და განუმეორებლობას. მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ პირველკლასელი თვალსაჩინოდ მიწოდებულ მასალას უკეთ იმახსოვრებს. მას უჭირს ნებელობით ყურადღებისა და მეხსიერების მართვა. ამიტომ, საჭიროა სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება თამაშებითა და საინტერესო თვალსაჩინოებებით. პირველკლასელებს უჭირთ საკუთარი მოქმედებების კონტროლი. ამიტომ აუცილებელია მათში რეფლექსიის უნარის, საკუთარი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და თვითკონტროლის განვითარება.

3.3

ამავე საკითხს აქტიურად ეხმიანება ცნობილი ინტერნეტ ჟურნალი - "მასწავლებელი" (mastsavlebeli.ge) . ამათ თემაზე განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ისეთი კომპეტენტური პირის მოსაზრება, სტატია როგორიც ქეთევან ოსიაშვილია . ვფიქრობ მისი სტატიის ერთ-ერთ ნაწილში ნათლად არის გამიჯნული სკოლაში ადაპტაციისა და დეზაპტაციის ნიშნები. ის სკოლასთან წარმატებული ადაპტაციის ნიშნებად მიიჩნევს :

- ·ბავშვი მხიარული, მშვიდი და ხალისიანია;
- ·სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის;
- ·სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი;

- დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე;
- მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი;
- დღის ახალი რეჟიმი მისთვის კომფორტულია (არ ტირის დილაობით, არ უჭირს ღამით ჩაძინება და ა.შ.);
- არ აქვს სკოლასთან, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები.სკოლასთან დეზადაპტაციის ნიშნები : ·ბავშვი სწრაფად და ხშირად იღლება;
- შესაძლოა, უჩიოდეს თავის ტკივილს, უმადობას;
- უჭირს საღამოს ჩაძინება და დილით გაღვიძება;
- ხშირად საყვედურობს, ემდურის თანაკლასელებს;
- წუწუნებს მასწავლებლის მოთხოვნებზე; ·
- აქვს შინაგანი პროტესტის განცდა, ისეთ სიტუაციებშიც კი ჭირვეულობს, სადაც ადრე სიმშვიდით გამოირჩეოდა;
- უჭირს სასკოლო მოთხოვნების შესრულება, ვერ იცავს სასკოლო წესებს.

აღნიშნული სიმპტომები ძალზედ დამეხმარა კვლევის პროცესში, ჩემს მოსწავლეებზე დასაკვირვებლად და კითხვარის შედგენის პროცესში.

თავი IV

მეთოდოლოგია

ამ თავში განხილულია საკვლევი საკითხის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები. მოცემულია კვლევის გეგმა. საკვლევი საკითხი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბე: ,,**როგორ გავუადვილოთ მოსწავლეს სკოლასთან შეგუების პროცესი“.**

კვლევის მთავარ კითხვაში „როგორ გავუადვილოთ მოსწავლეს სკოლასთან შეგუების პროცესი?“ აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარება შემდეგი ქვეკითხვები:

- როგორ შევაგუოთ და დავაძლევინოთ ბავშვს ის ღელვა, რაც სკოლაში მისვლასთან არის დაკავშირებული?

- რას გრძნობს ბავშვი, რომელიც არ არის სკოლისთვის მზად და მიუხედავდ ამისა, უნდა წავიდეს სკოლაში?
- როგორ შევაყვაროთ ბავშვს სწავლა?
- როგორ მოვამზადოთ ბავშვი სკოლაში წასასვლელად?
- რა ევალება მოსწავლეს, მშობელსა და პედაგოგს?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე კვლევის გეგმა.

კვლევის გეგმა

კვლევის მონაცემების შეგროვება:

საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე ფოკუსჯგუფი, ინტერვიუები, კითხვარები, დაკვირვება.

1. პირველ რიგში გადავწყვიტე დამედგინა ჩემი კოლეგების აზრი და გამოცდილება . ამ მიზნით შევადგინე კითხვარი (დანართი1) .
2. რა თქმა უნდა, ამ პროცესში ერთ-ერთი გამაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშობელთა ჩართულობას. მათთვისაც შევადგინე კითხვარი (დანართი 2). კითხვარის შევსებაში ყველა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. მშობელთა შეხვედრის დღეს, პარასკევს, მათ გავატანე სახლში ეს კითხვარები, შესავსებად და დასაბრუნებლად ჰქონდათ 2-3 დღე. დროის ეს მონაკვეთი საშუალებას აძლევდა მშობლებს სრულად და ყურადღებით შეევსოთ. მიღებულმა კითხვარებმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა მშობელთა ჩართულობასა და როლზე მოსწავლეთა ადაპტირების კუთხით. აღსანიშნავია რომ ყველა მშობელმა (რიგ შემთხვევებში ბებიებმა) მიიღეს მონაწილეობა კითხვარის შევსებაში.მშობლებთან ინტერვიუმ საშუალება მომცა გამეცნო და განმესაზღვრა ის სირთულეები, რაც დაკავშირებულია მოსწავლეების ადაპტაციასთან სასაკოლო სივრცეში. ასევე განმესაზღვრა მათი როლი და ჩართულობა .
3. საკვლევი პრობლემის უკეთ გამოკვეთის მიზნით, მნიშვნელოვანი იყო გამეგო მოსწავლეთა დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ამისთვის სპეციალური მიდგომა უნდა შემერჩია . გადავწყვიტე ერთგვარი „ასოციაცობანა“ შემეთავაზებინა მათთვის . მიზანი იყო გამეგო თუ რა ასოციაციას იწვევდა მათში სკოლა.
4. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გადავწყვიტე ფოკუს ჯგუფის ტექნიკისთვის მიმემართა. შევარჩიე 3 შედარებით მარტივად ადაპტირებული მოსწავლის მშობელი, 3 ნაკლებად ადაპტირებული და 3 ისეთი მოსწავლის მშობელი, რომელებსაც მარტივად რომ ვთქვათ არ უყვარს სკოლა. მშობლებთან ერთად ჯგუფში ჩართული იყვნენ ფსიქოლოგი , ორი კოლეგა პედაგოგი . მოდერატორი თავად გახლდით.

თავი V

მონაცემთა ანალიზი

5.1

კოლეგებთან საუბარმა და კვლევის ჩატარებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობაში. კვლევისას მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრობლემაზე მასწავლებელთა უმეტესობა შეთანხმდა. აქ გამოიყო ორი დონე, კლასში არსებული საერთო ფონი და ინდივიდუალური შემთხვევები. მასწავლებლების სრულ უმრავლესობას ჰქონდა საუბარი ამ თემაზე მშობლებთან. ამ შემთხვევაში მკვეთრად გაიმიჯნა საუბრის ფორმატი. უმეტესად ეს ხდებობდა მშობელთა კრებაზე ან გაკვეთილების შემდეგ გაკრვეულ ჯგუფთან, რომლებიც ინტენსიურად აკითხავდნენ და აკონტროლებდნენ შვილებს. ამ ფორმატში, რა თქმა უნდა, აქცენტი საერთო სურათზე კეთდებოდა. ინდივიდუალური საუბარი და განხილვა შედარებით ნაკლებად ინტეგრირებული აღმოჩნდა , მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კვლევის მიხედვით მცირე უმრაველობას აქვს უშუალოდ მოსწავლეებთან ეს საკითხი. მათი უმეტესობა ამჩენვს ნეგატიურ ემოციურ დამოკიდებულობას მოსწავლეების მხრიდან სასკოლო პროცესზე, თუმცა შედრებით ნაკლები ცდილობს უშუალოდ მოსწავლისგან მოისმინოს მდგომარეობის ახსნა. კვლევის მიხედვით ხშირია შემთხვევა როდესაც პირველ კლასში გამოვლენილი ნეგატიური დამოკიდებულება რამდენიმე წელი მიყვებათ მოსწავლეებს.

1) **უჭირთ თუ არა პირველკლასელ მოსწავლეებს სკოლაში ადაპტაცია ?**



2) გისაუბრიათ თუ არა ამ საკითხზე მოსწავლეების მშობლებთან ?



3) მშობლებს ამ საკითხზე ესაუბრებოდით :



4) გისაუბრიათ თუ არა ამ საკითხზე უშუალოდ მოსწავლეებთან ?



5) შეგიმჩნევიათ თუ არა ნეგატიური ემოციური დამოკიდებულება მოსწავლეების მხრიდან სკოლისადმი?



6) გქონდათ თუ არა მცდელობა აეხსნათ თქვენთვის რატომ ჰქონდათ ნეგატიური დამოკიდებულება ?



7) გქონიათ შემთხვევა როდესაც პირველ კლასში მოსწავლემ ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა სასკოლო ცხოვრების მიმართ და ეს ემოცია გაყვა რამდენიმე წელი ?



5.2

უაღრესად მნიშნველოვანი აღმოჩნდა მშობლების აზრი . პირველ რიგში, გამოიკვეთა, რომ ბავშვებს, რომლებსაც სკოლამდელ დაწესებულებაში არ უვლიათ, უფრო უჭირთ შეგუება სასკოლო გარემოსთან. როგორც აღმოჩნდა მოსწავლეები, რომლებიც მზად არ არიან სკოლის დაწყებისთვის განსაკუთრებულად ნეგატიურად გამოხატავენ ემოციას. მშობლების უმრავლესობა როგორც აღმოჩნდა მოსწავლეებს ესაუბრებიან სასკოლო ცხოვრების მოლოდინებზე. განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კითხვამ გაუმართლდათ თუ არა მოსწავლეებს მოლოდინები. უმეტესობამ დააფიქსრა ნაწილობრივ კი . ვფიქრობ , მნიშვნელოვანი კითხვა გამოდგა ადაპტაციის გართულება პრობლემა იყო თუ მოსალოდნელი რეაქცია. მიუხედავად იმისა რომ საერთო დამოკიდებულება ვერ გამოიხატა, ყველა შეთანხმდა რომ შესაძლებელია ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესება.

1) **არის თუ არა სკოლასთან შეგუების მხრივ უფრო მეტი წინააღმდეგობა იმ ბავშვებში, ვისაც ბაღში არ უვლია?**



2) გამოხატავს თუ არა განსაკუთრებულ ნეგატიურ გრძნობას ბავშვი, რომელიც არ არის სკოლისთვის მზად და მიუხედავად ამისა, უნდა წავიდეს სკოლაში?



3) გისაუბრიათ თუ არა ბავშვთან სასკოლო ცხოვრების დაწყების მოლოდინებზე ?



4) როგორ ფიქრობთ, გაუმართლდათ მათ მოლოდინები?



5) როგორ ფიქრობთ ბავშვის სკოლაში ადაპტაციის გართულება არის:



6) თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სკოლაში ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესება ?



5.3

მოსწავლეების აზრის დაფიქსირება ასოციაციების გამოყენებით შევეცადე. ერთი კვირის განმავლობაში სასწავლო დღის დაწყებამდე და დასრულებისას მათ ე.წ სმაილების საშულებით უნდა დაეფიქსირებინათ განწყობა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ნეგატიურ ემოციურ ფონს გამოხატავდა დილას, სწავლის დაწყებამდე. სასწავლო დღის დასრულებისას პოზიტივის გამომხატველი რეაქცია ჰქონდათ . ამან მიმანიშნა რომ მოსწავლეებს ნაწილს უჭირთ თავდაპირველი ადაპტაცია, დილას მიჩვევა და შეჩვეული გარემოსგან განშორება.

5.4

ფოკუსჯგუფთან შეხვედრამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი საკუთარი განიცდის ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემას. გამოიკვეთა რომ იმ ბავშვების ნაწილი ნაკლებად განიცდიან სტრესს რომლებიც კარგად სწავლობენ და ითვისებენ მასალას. სწორედ ამან მიგვიყვანა დაკსვნამდე რომ მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარება და სწავლის პროცესით დაინტერესება გააუმჯობესებდა ადაპტაციის პროცესს.

5.5

კვლევის მეთოდებმა ცხადყო, რომ საჭიროა:

- სასურველი გარემო პირობები მოსწავლეს გამოუმუშავებს უნარებს, რაც სწავლის პროცესისთვის დადებითად წაადგება.
- სასკოლო ასაკის ბავშვი უნდა მიეჩვიოს გარკვეულ დამოუკიდებლობას.
- პედაგოგი, მშობელი და ბავშვი – ეს ერთი მთლიანი ჯაჭვია. მათ ერთმანეთთან აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ
- სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს გარკვეულ ინტერვალში თამაშის საშუალებაც უნდა მიეცეს, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა სიამოვნებაზე უარის თქმა არ უწევს.
- სკოლაში ბავშვს ოჯახურისგან განსხვავებული გარემო დახვდება. ყველაზე კეთილგანწყობილ და მეგობრულ სკოლაშიც კი ვერ იქნება ისეთი გარემო, როგორიც შინაა, ამიტომ შეაგუეთ პატარა იმ აზრს, რომ მის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი ვერ იქნება.
- სკოლაში მას არაერთხელ მოუწევს საკუთარი შესაძლებლობების შედარება სხვა ბავშვების შესაძლებლობებთან, რომლებიც შესაძლოა აღემატებოდეს ან ჩამოუვარდებოდეს მისას. ორივე შემთხვევაში საჭიროა სწორი რეაგირება
- მიაჩვიეთ ბავშვი მეტ დამოუკიდებლობას ნებისმიერი აქტივობისას.
- თუ მცირე ასაკში ქება და წახალისება საჭიროა აქტივობის ყველა საფეხურზე, სკოლის პერიოდში ბავშვი მხოლოდ დასრულებული, ბოლომდე მიყვანილი საქმის გამო უნდა შევაქოთ და წავახალისოთ. გამორიცხულია, სკოლაში მასწავლებელმა თითოეული მოსწავლისთვის სამუშაოს ყველა ეტაპის შემოწმება

შეძლოს, ამიტომ ბავშვი შედეგზე უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს, ვიდრე აქამდე.

თავი VI

ინტერვენციები :

1.ინტერვენცია

სკოლასთან შესაგუებლად მნიშვნელოვანია ბავშვის რეჟიმში ჩასმა სკოლის გარეთაც, ანუ იმისთვის, რომ სკოლა ბავშვისთვის არ იყოს `სადამსჯელო დაწესებულება, სადაც მისვლისთანავე, თავისუფლებას ტოვებს გარეთ, საჭიროა მას არასასკოლო დროსაც ჰქონდეს დროის ჩარჩოები კონკრეტულ აქტივობებზე, მაგალითად, 40 წუთი კითხვა, 1 საათი თამაში, 10 წუთი ვარჯიში და ა.შ. არასასკოლო აქტივობები გაწერილი დროის გარკვეულ მონაკვეთებში, უმარტივებს ბავშვს სკოლის რეჟიმთან შეგუებას. არასწორია მშობლების დამოკიდებულება მაშინ, როცა ეუბნებიან ბავშვს, რომ ცოტაც გაუძლოს და მალე შაბათი-კვირა მოვა – ამიტომაც აქვთ მათ სახლში წამოსვლის სურვილი ისე გამძაფრებულად, ფიქრობენ, რომ სკოლიდან გამოვალ და მორჩა. ამიტომ, ის სკოლის გარეთაც რიტმში უნდა იჯდეს. ამისათვის, ჯობს, კლასში ინდივიდუალურად გარკვეული და ბავშვებთან შეთანხმებული იქნას დისციპლინის წესები. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს გასაგებ ენაზე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. ავუხსნათ ბავშვს, რომ მასწავლებელს უნდა მოუსმინოს ყურადღებით არა იმიტომ, რომ ეს მხოლოდ პედაგოგს სურს, არამედ მისთვისაა საჭირო, რომ გახდეს წარმატებული. აღნიშნულმა ნაბიჯმა ფაქტობრივად მოსწავლეების უმეტესი ნაწილის ცხოვრების მოწესრიგება შეძლო. ისინი უფრო მობილიზიბულნი გახდნენ ,რაც მათ განწყობასა და ხასიათზეც აისახა. ვფიქრობ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო როგორც მოსწავლეებისთვის , ასევე მშობლებისთვის.

2.ინტერვენცია

სასწავლო პროცესთან ადაპტაციას უმარტივებს ბავშვს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაც. მაგალითად, როცა იგი მათემატიკაში ისწავლის კონკრეტულ რიცხვებსა და მოქმედებებს, ვთხოვოთ მას, მოგვაწოდოს ორი ცალი ლურსმანი ან სამი ვაშლი და ა.შ. მშობლები უნდა შეეცადონ, დაუკავშირონ სკოლა სახლს, რადგან იგი არ იყოს განცალკევებული და უცხო დაწესებულება. ბავშვს, განსაკუთრებით პირველკლასელს, ყველაფერი უადვილდება როცა ხედავს, რომ მშობელი ჩართულია იმ სიახლეში, რაც მის ცხოვრებაში ხდება. ეს არ ნიშნავს, რომ მშობლები მხოლოდ ამ პროცესზე უნდა იყვნენ გადართული, უბრალოდ, ის ცოდნა, რაც სკოლაში მიიღო ბავშვმა, უნდა დააკავშირონ ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ვიფქრობ, ეს ნაბიჯიც წარმატებული

გამოდგა. თავდაპირველ მიზანთან ერთად , აღმოჩნდა რომ ამ გზით მოსწავლეებმა ახლო კონტაქტი დაამყარეს მშობლებთან. ისინი უფრო თამამად უყვებოდნენ სასკოლო სიახლეებს მშობლებს და შთაბეჭდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს.

3.ინტერვენცია

ზოგჯერ ათვისების პრობლემებიც იჩენს თავს, რის გამოც ბავშვს თვითშეფასება უდაბლდება, შესაძლოა კლასელებთან კომუნიკაცია უჭირდეს, ან ერთ კონკრეტულ ბავშვთან დაეძაბოს ურთიერთობა. საჭიროა აღნიშნული ვითარების გამოსაშკარავებლად მუდმივი დაკვირვება. აღნიშნული პროცესის მეთვალყურეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია , არა მარტო კვლევის პროცესში, არამედ ზოგადადაც. განსაკუთრებით პირველ კლასში, როდესაც ბავშვები ცდილობენ, მიკრო სოციუმში თავი დაიმკვიდრონ და სხვადასხვა ხერხებით გამოავლინონ ის.

4.ინტერვენცია

ვფიქრობ, შესაძლებელია მოსწავლეებმა თავიანთი შინაგანი სამყაროს გამოსახატად და მეტი თავდაჯერებულობისთვის კვირაში რამდენჯერმე თან წამოღონ მათი საყვარელი სათამაშო. ამასთანავე ეს ხელსშეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის დამყარებასა და გაუმჯობესებას. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მეტად გააუმჯობესა და გაახალისა სასწავლო პროცესი. ფაქტობრივად ჩვენს დიდ ოჯხას ახალი მეგობრები შემოურთდნენ .

5.ინტერვენცია

საკუთარი პოზიციის გამოსახატად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება დაინერგოს ყოველდღიურად ე.წ სმაილების აქტივობა, რომელიც კვლევისას გამოვიყენე. სასწავლო დღის დაწყებამდე და დასრულებისას მათ ე.წ სმაილების საშულებით დააფიქსირონ განწყობა.
ვფიქრობ, ამ ინტერვენციამ ყოველდღიუ პერსპექტივაში, მოკლე ვადაში შედეგის დასანახად ყველაზე მეტად გაამართლა. რაც მაძლევდა შესაძლებლობას გადამეფასებინა ჩემი ნაბიკები და ქმედებები.

ინტერვენციების ანალიზი

ჩემ მიერ მოცემული ინტერვენციები სარეკომენდაციო ხასიათისა. აღნიშნული თემატიკის გარშემო კომპლექსიური მიდგომაა საჭირო და მხოლოდ კონკრეტული ნაბიჯები შორს ვერ წაგვიყვანს. ჩემს კვლევაშიც, ამიტომ დავიწყე მიზეზების ძიება რათა გადაჭრების გზები მეპოვნა. აუცილებელია ვებრძოლოდ მიზეზს და არა შედეგს. წარმოდგენილმა ინტერვენციებმა სავსებიით გაამართლა მოლოდინები. მოსწავლეები უფრო თავჯერებულნი გახდნენ, უფრო თამამად აფისქრებენ საკუთარ პოზიციებს. განსაკუთრებული შედეგი გამოიღო სათამაშოს დღის დაწესებამ , მიუხედავად გარკვეული რისკებისა. ამან ბავშვები უფრო დაახლოვა. ყველა ეტაპზე ჩართულნი იყვნენ მშობლები, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სასკოლო ცხოვრება.

თავი VII

კვლევის ვადები

აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X									
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X								
კითხვის დიაგნოსტიკა		X								
მშობელთა კითხვარის დამუშავება და შევსება			X							
მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმატის შედგენა			X							
ფოკუსჯგუფთან შეხვედრა			X							
მონაცემთა ანალიზი			X							
1 ინტერვენციის განხორციელება			X	X	X	X	X	X	X	

მე-2 ინტერვენციის განხორციელება			X	X	X	X				
მე-3 ინტერვენციის განხორციელება							X			
მე-4 ინტერვენციის განხორციელება							X			
მე-5 ინტერვენციის განხორციელება								X		
ინტერვენციის შედეგების ანალიზი									X	
პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა										X

ნაკლოვანებები

კვლევის მიმდინარეობისას საკვლევი საკითხის გაანალიზება და პრობლების იდენტიფიცირება სწორად მოხდა. ამის საფუძველი მომცა იმ მეთოდების ანალიზმა, რომლებიც კვლევისას გამოვიყენე. რაც შეეხება ინტერვენციებს, მრავლფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა. ყველაფრის მიუხედავად, იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ბავშვი სპეციალური ფსიქოლოგიური ჩარევის გარეშე ვერ ინტეგრირდა კლასში. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ჩემს ინტერვიენციებს არ ჰქონდა საყოველთაო ხასიათი, ზოგმა მოსწავლემ უფრო მარტივად აღიქვა ისინი , ზოგმა - ვერა. ნაწილმა სახალისოდ აღიქვა ის , ნაწილს გაუჭირდა ტემპს აყოლოდა.

მიგნებები

კვლევის მეთოდებისა და გამოყენებული ინტერვენციების ანალიზის შედეგად შემიძლია გამოვყო ძირითადი მიგნებები, რომლებიც აუცილებელია პირველკლასელი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრაციისთვისთვის :

- პედაგოგის, მოსწავლეებისა და მშობლების ურთიერთანამშორმლობის გაღრმავება აუცილებელია სასკოლო ცხოვრების დასასწყებად , ადაპტაციისთვის, შემდეგი ეტაპებისთვის.

- მნიშვნელოვანია მოსწავლებს შეეძლოთ თავიანი აზრის გამოხატვა
- მშობლებმა და პედაგოგემა ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლის დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას
- მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ საკუთარი პასუხისმგებლობა
- მნიშნველოვანია მივაწოდოთ მოსწავლეების ინფორმაცია განათლების და სკოლის დანიშნულებაზე
- სხვადასხვა თამაშოებებითა და აქტივობებით მოსწავლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა
- გარკვეული რეჟიმის შემუშავება, რაც მათ გაუმარტივებთ ყოველდღიურ ცხოვრებას.

დასკვნა

1 კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელების, მეორადი კვლევებისა და დასკვნების, შეფასების ეტაპებს). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

1. საჭიროა მასწავლებელთა და მშობელთა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.
2. ბაღი ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებლობის, სოციუმთან ურთიერთობის, რეჟიმთან შეგუების უნარ-ჩვევების განვითარებას.
3. მშობლებმა მეტი უნდა ესაუბრონ სასკოლო ასაკის ბავშვებს სკოლის პოზიტიურ გარემოზე, თანატოლებთან ურთუიერთობებზე, სასკოლო ცხოვრების წესებზე.
4. მასწავლებელმა საინტერესო აქტივობებით, თამაშის მეთოდებით, ინდივიდუალური მიდგომებითა და პოზიტიური დამოკიდებულებებით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში სკოლისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლას და ადაპტაციის პროცესის გამარტივებას.

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგის მომტანი იყო, რომელმაც უზრუნველყო მოსწავლეებში სასკოლო ცხოვრებასთან შეგუება, მარტივად ადაპტირება მათთვის უცხო გარემოში და ხალისითა და ინტერესით სწავლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ბარბარა მ. ბრიზუალასი და მარტა ჯულია გარსია „სკოლაში ადაპტაცია- სამკუთხა პროცესი“ . (Barbara M. Brizuela ; Martha Julia García-Sellers . School Adaptation: A Triangular Process). https://www.researchgate.net/publication/250184601_School_Adaptation_A_Triangular_Process

2) „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასების მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი)“.

3) ინტერნეტ ჟურნალი - "მასწავლებელი" , სტატიის ავტორი ქეთევან ოსიაშვილი

http://mastsavlebeli.ge/?p=1549

დანართები:

დანართი 1

1) უჭირთ თუ არა პირველკლასელ მოსწავლეებს სკოლაში ადაპტაცია ?

კი/არა

2) გისაუბრიათ თუ არა ამ საკითხზე მშობლებთან ?

კი/არა

3) მშობლებს ამ საკითხზე ესაუბრებოდით :

ა. მშობელთა კრებაზე
ბ. გაკვეთილების შემდეგ , გარკვეულ ჯგუფს
გ. ინდივიდუალურად
დ. სხვა

4) გისაუბრიათ თუ არა ამ საკითხზე უშუალოდ მოსწავლეებთან ?

კი/არა

5) შეგიმჩნევიათ თუ არა ნეგატიური ემოციური დამოკიდებულება მოსწავლეების მხრიდან სკოლისადმი?

კი/არა

6) გქონდათ თუ არა მცდელობა აეხსნათ თქვენთვის რატომ ჰქონდათ ნეგატიური დამოკიდებულება ?

კი/არა

7) გქონიათ შემთხვევა როდესაც პირველ კლასში მოსწავლემ ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა სასკოლო ცხოვრების მიმართ და ეს ემოცია გაყვა რამდენიმე წელი ?

კი/არა

დანართი 2

1)არის თუ არა სკოლასთან შეგუების მხრივ უფრო მეტი წინააღმდეგობა იმ ბავშვებში, ვისაც ბაღში არ უვლია?

კი/არა

2) გამოხატავს თუ არა განსაკუთრებულ ნეგატიურ გრძნობას ბავშვი, რომელიც არ არის სკოლისთვის მზად და მიუხედავად ამისა, უნდა წავიდეს სკოლაში?

კი/არა

3) გისაუბრიათ თუ არა ბავშვთან სასკოლო ცხოვრების დაწყების მოლოდინებზე ?

კი/არა

4) როგორ ფიქრობთ, გაუმართლდათ მათ მოლოდინები?

კი/არა

5) როგორ ფიქრობთ ბავშვის სკოლაში ადაპტაციის გართულება არის:

პრობლემა/ მოსალოდნელი პროცესი

6) თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სკოლაში ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესება ?

კი/არა

კვლევის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევის ძირითად თემად ავირჩიე, როგორ გავუადვილოთ მოსწავლეს სკოლასთან შეგუების პროცესი? კვლევისას გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც აფერხებს პირველკლასელი მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციას და განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი მოსწავლეთა ადაპტაციის გამოვლინებებს. მოსწავლეთა რაღაც ნაწილისთვის სასკოლო ცხოვრების დაწყება სტრესტან ასოცირდება . შევეცადე, დამედგინა ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები. გამოვყავი კვლევის ძირითადი კითხვა: როგორ გავუადვილოთ მოსწავლეს სკოლასთან შეგუების პროცესი? და შევარჩიე მეთოდები, რომელთაც გამოვიყენებდი საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად, კერძოდ: კითხვარები, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება . მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავადგინე პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ჩამოვაყალიბე დასკვნები და დავგეგმე ინტერვენციები. პირველ ყოვლისა დავადგინე, მოსწავლეებს რა აფერთხებთ ადაპტაციის პროცესში. როგორ შეგვიძლია პედაგოგს, მოსწავლესა და მშობელს ადაპტაციის გაუმჯობესება, გამარტივება. ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ვაკვირდებოდი

მოსწავლეებს. ისინი უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ. აქტიურად დაიწყო და გრძელდება კომუნიკაცია მშობლებთან . კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გამოკვეთა შემაფერხებელი ფაქტორები. ასევე დაგვანახა პრობლემის გამომწვევი მიზეზის გამოკვეთის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს . მე ვცადე, შემეკრა პედაგოგის, მოსწავლეებისა და მშობლების ურთიერთანამშრომლობისა და თანასწორობის ჯაჭვი. პრობლემატიკის კვლევის პროცესში ჩაერთნენ ჩემი კოლეგები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ . კვლევის შედეგები კოლეგებს არა მარტო დასასრულს, პრეზენტაციის დროს გავუზიარე, არამედ ყოველი ინტერვენციის შემდეგაც ვაცნობდი, ვმსჯელობდით, ვაანალიზებდით, ისინი აქტიურად ადევნებდნენ თვალს ჩემი კვლევის თითოეულ აქტივობას.